

მადონა ბედინაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

ალფონს დოდეს ნოველების ილია ჭავჭავაძისეული თარგმანები

მთარგმნელობით საქმიანობას საქართველოში დიდი და ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ათას ხუთასი წლის წინათ ითარგმნა სახარება, წმიდა მოციქულთა და მონამეთა ჰაგიოგრაფიული ტექსტები და სხვა საეკლესიო თხზულებანი. საფიქრებელია, მანამდეც, წარმართობის ხანაშიც, გვექონოდა მთარგმნელობითი ხასიათის ტექსტები და ტრადიცია. ამას გვაფიქრებინებს ფარნავაზის დროინდელი ქართლის სამეფო კარის საქმიან-მწიგნობრობითი მიმოწერის ჩვეულება, სამეფო კარზე რამდენიმე ენისა და ანბანის თავისუფლად ფლობა-გამოყენება (სომხური, ლათინური, ხაზარული, ასურული, ბერძნული..., ქართულთან ერთად).

ამრიგად, მთარგმნელობითი ტრადიცია ძველთაგანვე აქტუალური ყოფილა. ჩვენი წინაპრები ტრადიციულად დიდ ყურადღებას აქცევდნენ უცხოეთში მიმდინარე კულტურულ-აღმშენებლობით და მწიგნობრულ პროცესებს. ამ კუთხით აქტუალური მოვლენებისადმი ყურადღება XIX საუკუნეშიც გამოიჩინა, რადგან სწორედ ამ დროიდან სამწერლო ასპარეზზე გამოდიან ე. წ. „ქართველი სამოციანელები“ ანუ „თერგდალეულები“.

ახალი თაობის ლიდერმა ილია ჭავჭავაძემ, მრავალ სასიკეთო საქმესთან ერთად, დიდი ყურადღება დაუთმო მთარგმნელობით მოღვაწეობასაც. იგი, ბევრ სხვა ღირსშესანიშნავ რამესთან ერთად, წინაპართაგან დანერგილ მწიგნობრულ-მთარგმნელობითი ტრადიციების თვალსაჩინო გამაგრძელებლადაც მოგვევლინა.

ახალგაზრდობის წლებშივე ილია ჭავჭავაძე აქტიურად ეცნობოდა რუს და ევროპელ მწერლებს, ცდილობდა მათ მიერ გამოთქმული პროგრესული იდეები გაეცნო ქართული საზოგადოებისათვის. ივანე მაჩაბელთან ერთად შექსპირის ქართულად თარგმნას მოგვიანებით სწორედ ილია ჭავჭავაძემ ჩაუყარა საფუძველი. საყოველთაოდ ცნობილია „ქართული შექსპირიანა“, რომლის სათავეებთან ილია ჭავჭა-

ვადე მოიაზრება ივანე მაჩაბელთან ერთად. სწორედ მათ თარგმნეს ერთობლივად, პირველებმა, უილიამ შექსპირის „მეფე ლირი“.

„ივერიის“ ფურცლებზე XIX ს. 70-იან წლებში გამოქვეყნდა ალფონს დოდეს ისტორიული თარგმანები, რომლებშიც ძალიან კარგად არის ასახული ეროვნული ან პიროვნული ჩაგვრის მოტივები.

აღსანიშნავია ალფონს დოდეს მოთხრობების ილიასეული თარგმანები. დოდეს „უკანასკნელი გასაკვეთი“ და „თურკოსი კომმუნელთა შორის“ გამოირჩევა მკვეთრი პოლიტიკური შეფერილობით, რომელსაც საფუძვლად ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძება და მძაფრი პროტესტი უდევს.

ალფონს დოდეს „უკანასკნელი გასაკვეთი“ და „თურკოსი კომმუნელთა შორის“ ქართული თარგმანი ილიამ „ივერიაში“ გამოაქვეყნა (1877-1879 წწ.). სათანადო ყურადღება მიიქცია თავად ალფონს დოდეს თემატიკამ, რაც ასევე ახლობელი და მისაღები აღმოჩნდა ქართული სინამდვილისათვის.

გამოჩენილი ფრანგი მწერალი ალფონს დოდე „უკანასკნელ გასაკვეთში“ მწვავე პოლიტიკურ მომენტს აღწერს; პატარა მოსწავლის თვალთ გადმოგვცემს უმნიშვნელოვანეს მოვლენას – პრუსიის მიერ ელზასის მიერთებას და ფრანგების დამარცხებას. მეორე ნოველა „თურკოსი კომმუნელთა შორის“ არანაკლები სიმწვავის მქონე ნაწარმოებია, სადაც პატარა ადამიანის უაზრო ცხოვრება და აღსასრულია მოცემული. თურკოსი ალჟირელი ჯარისკაცების ზოგადი სახელია, ხოლო ნოველის გმირი ერთ-ერთი მცირეწლოვანი ალჟირელია, რომელიც ფრანგებს მედაფდაფედ ჰყავდათ. ალფონს დოდეს ყურადღების ცენტრში ალჟირელი მოზარდის ხანმოკლე და გაუაზრებელი ცხოვრება მოხვდა, რომელიც ეროვნული ჩაგვრის ობიექტია, იგი ვერ გაიაზრებს თავის მდგომარეობას და პიროვნულ უიღბლობას შეეწირება. ილია ჭავჭავაძემ საგანგებოდ შეარჩია ალფონს დოდეს ორივე ნოველა, რადგან მათში სწორედ ის პრობლემებია მხატვრულად გადმოცემული, რომელიც საქართველოსთვის ნაცნობი და მნიშვნელოვანი იყო. ეროვნულ ჩაგვრას და პიროვნულ გაურკვევლობას რუსეთის იმპერიაში მრავალი ერი გრძნობდა; საქართველო და ქართველი ხალხი მწვავედ განიცდიდა როგორც ეროვნულ, ისე სოციალურ უთანასწორობას. ილია ჭავჭავაძე მთელი შეგნებით ცდილობდა თავისი ხალხის ხვედრის შემსუბუქებას. იგი ასევე ესწრაფვოდა ევროპელ ხალხთა ცხოვრებაში არსებული პრობლემები გაეცნო ქართველებისათვის და ცოტათი გაემხნევებინა ჩაგრული ერი.

„უკანასკნელი გასაკვეთის“ ქვესათაურში წერია: „ნაამბობი პატარა ელზასელისა“, ხოლო თავად ილიასეული განმარტება ასეთია:

„ელზასი ის ქვეყანაა, რომელიც პერუსიამ ნაართო საფრანგეთსა ამ უკანასკნელ დროს და რომლისაც სული და გული დღესაც საფრანგეთისაკენ არის“ [1, 71]. პრუსია-საფრანგეთის ურთიერთობა XIX საუკუნის 70-იან წლებში ძალიან ჰგავდა რუსეთისა და მისი მეზობლების ურთიერთობას. პრუსია ყოველმხრივ ცდილობდა შემოეერთებინა ტერიტორიები, რომელთა მოსახლეობა მისას ესაზღვრებოდა. ალფონს დოდემ საფრანგეთის ოკუპაციას, მის მიძიმე პოლიტიკურ მდგომარეობას მრავალი ნაწარმოები მიუძღვნა, რომელთა ნაწილი შევიდა მის ცნობილ კრებულში – „წერილები ჩემი წისქვილიდან“. ალფონს დოდეს „ბოლო გაკვეთილი“ ილია ჭავჭავაძემ თარგმნა, როგორც „უკანასკნელი გასაკვეთი“. მასში მთავარია ეროვნულ-პატრიოტული გრძნობის ჩასახვა და გაღვივება ფრანგ ხალხში. მწერალი პატარა ფრანგი მოსწავლის განცდებს გადმოგვცემს, დეტალურად გვიჩვენებს მოსახლეობის სასოწარკვეთას, მასწავლებლის ძალისხმევას, მისი ბოლო გაკვეთილის ზნეობრივ მაგალითს.

„უკანასკნელი გასაკვეთი“ პირველივე სურათიდან შეიცავს დრამატულ განწყობას. პატარა ფრანგი შინაგან მოუსვენრობას გრძნობს და სკოლისაკენ გასწევს, მიუხედავად იმისა, რომ ტყეში საგანგებოდ წავიდა გასართობად და დროის გასატარებლად. გზაზე პრუსიელების წვრთნას შეესწრო. ამით ალფონს დოდემ მიგვანიშნებს, რომ ყველაფერი ისე მშვიდად როდია, როგორც ეს პატარა უდარდელ ფრანგს ჰგონია. ქალაქის ცენტრში ყველაფერი გასაგები ხდება, სადაც ორი წელია ერთიმეორეზე ცუდ ამბებს აგებინებენ მცხოვრებლებს: „სულ ცუდი ამბები გვესმოდა: ხან ის, რომ აი ამა და ამ ადგილას ჩვენი ჯარი დამარცხდაო, ხან ის, რომ პრუსიელებმა დაგვარბიესო, ხან ეს ბრძანება გამოვიდა პრუსიელებთაგანო, ხან ისაო და სხვა ამგვარი“ [1, 72]. ნაწარმოები აგებულია მთავარ ღერძზე, რაც პრუსიელების ახალ ბრძანებას ითვალისწინებს. მასწავლებელი გამელი ამცნობს მოსწავლეებს: „ყმანვილებო! დღეს ჩემი უკანასკნელი სწავლების დღეა. ბერლინიდამ ბრძანება მოვიდა, რომ ელზას-ლოტარინგიაში მარტო გერმანულია უნდა ასწავლონ. ხვალ სხვა ახალი მასწავლებელი გეყოლებათ. დღეს უკანასკნელად უნდა გაიკვეთოთ ფრანგული ენა. გთხოვთ, ყურადღებით, ყურადღებით იყვნეთ“ [1, 73].

მასწავლებელი გამელი ტრაგიკულ სიტუაციაში გარეგნულ სიმშვიდეს ინარჩუნებს, იგი ცდილობს არ შეიმჩნიოს შექმნილი მდგომარეობის მთელი ტრაგიზმი. ალფონს დოდემ საგანგებო ყურადღება დაუთმო მასწავლებლის პერსონაჟს. მწერალმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი მასწავლებლის ჩაცმულობას, მის საუბარს, მის ქცევებს. ალფონს დოდემ მასწავლებელი მტკიცე და თავდაჭერილ კაცად დახატა, რო-

მელიც სევდას და მწუხარებას არ იმჩნევს, ცდილობს მაგალითი მისცეს სხვებს და მომავლის რწმენაც არ დაუკარგოს.

ილია ჭავჭავაძის ყურადღებას ალფონს დოდეს „უკანასკნელი გასაკვეთი“ მასწავლებლის ამგვარი ამაღლებული და ტრაგიკული სახის გამოც მიიქცევდა. ილიას მთელი შემოქმედება მოძღვრის, ოსტატის მნიშვნელობის ხაზგასმას ეძღვნება, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების აუცილებლობას ჰქადაგებს. ალფონს დოდეს მასწავლებელი გამელი სწორედ იმგვარი პერსონაჟია, რომელიც თავისი ხალხის სულიერ სიძლიერეს ემსახურება და წარმართავს.

„უკანასკნელი გასაკვეთი“ წარმოადგენს ეროვნული ჩაგვრის სურათს, სადაც ადამიანთა განცდები სასწავლო დაწესებულებაში მჟღავნდება. ამგვარი ეროვნულ-პატრიოტული პათოსის გამო „უკანასკნელი გასაკვეთი“ ახლობელი და მისაღებია მთელი საქართველოს ერისთვის და მისი საუკეთესო შვილის, ილია ჭავჭავაძისათვის, რომელიც ყოველთვის ისწრაფვოდა ეროვნული თვითშეგნების სტიმულაციისათვის რუსეთის მიერ უკიდურესად შევიწროებულ საქართველოში.

„თურკოსი კომმუნელთა შორის“ ალფონს დოდემ, როგორც ზემოთ, დასაწყისშივე აღვნიშნეთ, მიუძღვნა ალჟირელ პატარა ბიჭუნას, რომელიც გაუაზრებლად გამოჰყვა ფრანგების ლაშქარს საფრანგეთში და თავისი სამშობლო მიატოვა. მედაფე (მედოლე) აფრიკელი ბიჭი მარტოდმარტოა და ვერ ერკვევა საფრანგეთის დედაქალაქში მომხდარ ამბებში. საფრანგეთის კოლონიად ქცეულ ალჟირში კადური შეუერთდა ფრანგ ჯარისკაცებს, მან არ იცის ფრანგული ენა და ვერაფერს იგებს, მისთვის მარტო ბრძოლის ყიჟინა, ფრანგი ჯარისკაცები და ტყვია-წამლის ზუზუნი არსებობს. შემთხვევით აჯანყებულ ხალხს შეუერთდება პატარა თურკოს კადური და მათ წინააღმდეგ მოსული დამსჯელი ჯარი მაშველი ძალა ჰგონია. კადური სიხარულით ჩაბარდება ფრანგ ჯარისკაცებს, რომლებიც მას კლდესთან მიაყენებენ და დახვრეტენ: „ისე მოკვდა, ვერ გაიგო, რა, რა ამბავი იყო“ [1, 323].

თურკოსის ბედი მრავალი დამპრობელი ქვეყნის მკვიდრის ბედს მოგვაგონებს. სხვადასხვა ერის შვილები ხშირად გაუაზრებლად იხოცებოდნენ ომებში, რომლებიც მათთვის სრულიად უცხო მიზნებისათვის წარმოებდა. დაპყრობილი და დაჩაგრული ქვეყნის შვილების ტკივილი, მათ მიერ გაღებული მსხვერპლი და მათი არაფრად ჩაგდება პატარა ერის შვილების ტრაგედიაა. ალფონს დოდემ იგრძნო და აღწერა ამგვარი მდგომარეობა, მისმა დიდსულოვნებამ მრავალი ადამიანი ჩააფიქრა ამგვარ პრობლემაზე.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ილია ჭავჭავაძემ ეს მოთხრობა („თურქოსი კომმუნელთა შორის“), „ივერიაში“ 1879 წელს დაბეჭდა. ალფონს დოდეს ამ ნოველის მეშვეობით მან თავის თანამემამულეებს შეახსენა, რომ სხვათა სისხლის ღვრას და უაზრო სიკვდილს არავისთვის მოაქვს სიკეთე.

ილია ჭავჭავაძის მდიდარ მთრგმნელობით საქმიანობაში ალფონს დოდეს ნოველებს არცთუ უმნიშველო ადგილი უკავიათ, მათი მეშვეობით დიდმა მწერალმა თავის ერს შეახსენა ეროვნულ-პატრიოტილი სულისკვეთების გაღვივების აუცილებლობა და დაანახა, რომ მარტო საქართველო არ იჩაგრებოდა ეროვნული და სოციალური ნიშნით.

„თურქოსი კომმუნელთა შორის“ საგანგებოდ ღირსი ნაწარმოებია, რადგან პარიზის კომუნის თემა ილია ჭავჭავაძემ თავადაც კარგად გაისიგრძეგანა და დაამუშავა. ბუნებრივია, რომ მან, როგორც მწერალმა, და მოქალაქემ თავად განიცადა ევროპის შუაგულში მიმდინარე რევოლუციური პროცესები. ალფონს დოდეს ამ მოთხრობის არჩევით ილიამ თავისი პირადი შეხედულებების თანმხვედრი მოვლენა შეარჩია. მიხეილ ზანდუკელის აზრით, ილიას შემოქმედებაში კომუნის მოვლენების შემდგომ შემოიჭრა „შრომის ახსნის“ თემა მთელი ძალით: „ილია ჭავჭავაძე ჩვენს ლიტერატურაში პირველია, რომელიც რევოლუციას დადებითად აფასებს, მისაღებად თვლის და აუცილებლად მიაჩნია ცხოვრების დასამშვიდებლად, დასაწმენდად, მოსაწესრიგებლად“ [2, 316]. რევოლუციის კონტექსტში ზის „შრომის ახსნის“ პრობლემა და ადამიანის ჩაგვრიდან გათავისუფლება, რაც ყველა პროგრესულად მოაზროვნე მწერლის მისწრაფებას წარმოადგენდა ილიას დროინდელ რუსეთსა და ევროპაში.

ილია ჭავჭავაძე მთლიანად იზიარებდა მოწინავე მოღვაწეების აზრებს, იგი აღზრდილი იყო დემოკრატიულ-პროგრესულ იდეებზე. პ. რატიანი წერს, რომ: „ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიის აზრი რამდენიმე სიტყვით ასე გამოითქმის: ცხოვრება ცუდად არის მოწყობილი და იგი ღირსია შეჩვენებისა, მაგრამ ადამიანმა იგი მაინც არ უნდა მიატოვოს, არამედ იმუშაოს და იბრძოლოს ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ქვეყნის სამართლიანობისა და კაცთა შორის ძმობის დასამყარებლად“ [3, 128]. ილიამ კარგად უნყოდა, რომ მისი თანამემამულეები მრავალგვარ წნეხს განიცდიდნენ საქართველოში. ეროვნულ ჩაგვრას თან ერთვოდა სოციალური უთანასწორობა და მასების გაუნათლებლობა, რაც ილიას და მისი თანამოაზრეების მუდმივ ყურადღებას იქცევდა. ისინი მაქსიმალურად ცდილობდნენ თან გამოეღვიძებინათ ერი და ამავე დროს გაემხნევებინათ და ეჩვენებინათ, რომ

ამის მსგავსი პრობლემები სხვა ერებსაც აქვთ, ისინი არ ნებდებიან, იბრძვიან და იმსახურებენ უკეთეს ყოფა-ცხოვრებას. ამ კუთხით მართლაც საინტერესო და ნიშანდობლივია ალფონს დოდეს გადმოქართულება, მისი ზემოთ ხსენებული ორივე ნაწარმოების შემოთავაზება ქართველი მკითხველისათვის სწორედ ამის დასტურია.

დამონებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, თარგმანები (თხზულებათა კრებული ოც ტომად.), თბილისი, 1988.
2. მ. ზანდუკელი, თხზულებანი, ტ. V, თბილისი, 1989.
3. პ. რატიანი, ილია ჭავჭავაძე (ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი), მეორე გამოცემა, თბილისი, 1954.

Madona Bedinashvili

*Doctoral Student of the Sokhumi state
University*

Ilia Chavchavadze's Translations of Alphonse Daudet's Short Stories

Summary

Ilia Chavchavadze's translations are significant for Georgian culture. During his adolescence the author examined European writers' contemporary publications and ventured to introduce them to Georgian society. Throughout 1877-1879 Ilia Chavchavadze published essential themes of Alphonse Daudet's tales – national or personal dignity defense, in „Iveria“. With these translations Ilia Chavchavadze informed Georgian society, that even great France was facing the same problems.